ფასიანი პოლიტიკური რეკლამა




ფასიანი პოლიტიკური რეკლამა


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 41 (10235) 19 ოქტომბერი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.


## შპს „პირამიდას“ ექსკავატორი მდ. ბჟუჟმა დასილა

15-16 ოქტომბერს მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ და ქარმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურას; წალებულია მცირე სახიდე ნაგებობები, დატბორილია საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები.

ქ. ოზურგეთის მერიის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მერაბ წივწივაძის თქმით, იმის გამო, რომ მდინარე ბჟუჟი ძლიერ ადიდებული იყო, არ ღებულობდა მდინარე ნაბჟუარას და სკურჩას წყალს, მათი ჯებირებიდან გადმოსვლა გამოიწვია. დატბორილია საცხოვრებელი სახლების და კომერციული ფართების პირველი სართულები. ქ. ოზურგეთში ძლიერმა ქარმა სახურავი დაუზიანა 150-მდე ოჯახს.მიუხედავად შექმნილი რთული ვითარებისა, აღსანიშნავია, რომ სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზარალი მაქსიმალურად შეამცირა 2015 -2017 წლებში ქალაქ ოზურგეთში შესრულებულმა ნაპირდამცავმა ნაგებობებმა. გაბიონებმა და ჯებირებმა მაქსიმალურად უზრუნველყო მდინარეების სანაპიროების მიმდებარე ტერიტორიების დაცვა დატბორვისაგან.

შპს „პირამიდას“ ექსკავატორი „ჰიუნდაი“ მდინარე ბჟუჟის გასწორხაზოვნების სამუშაოებს ასრულებდა და მდინარის აუზში მუშაობდა. ექსკავატორი მუშაობისას დაზიანდა და წყლის უეცარი ადიდების გამო ვერ შეძლეს მისი ადგილზე შეკეთება. მდინარემ ესკავატორი დასილა.

„პირამიდას“ მდინარე ბჟუჟის აუზში დაახლოებით 50 000 ლარის

▶▶▶ გვ-2



## ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტები ოზურგეთში







*საარჩევნო პროცედურების დარღვევების გამო, გურულებმა წინასაარჩევნო პერიოდს „წინასაარჩევნო გაწამაწია“ შეარქვეს, რაც, მათი თქმით, ყველაზე მეტად მორგებულია ოზურგეთში შექმნილ სიტუაციაზე, სადაც კონკურენტი პარტიები და საარჩევნო სუბიექტები, თითქმის ყველა უბანზე, „ანოკდაუნებენ“ ერთმანეთს. შეიძლება ითქვას, რომ ასე რადიკალურად დაპირისპირებული და ორად გაყოფილი ამომრჩეველი ოზურგეთს არ ახსოვს.*

*არ გამართლდა ოპოზიციონერთა ერთი ნაწილის ვარაუდი, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლება ოზურგეთში 40-50-ჯერ მაინც დაარღვევდა საარჩევნო კანონს. კენჭისყრის დღემდე 4 დღით ადრე № 60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში, საჩივრის სახით, მხოლოდ რამდენიმე განცხადება აღმოჩნდა შეტანილი. ამ განცხადებებში მკვეთრად ჩანს ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტები.*

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების** განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი მიხეილ ბენიძე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიას შესასწავლად 29 სექტემბერს გადაუგზავნა. განცხადებაში, რომელსაც თან ახლავს დანართი და ვიდეომასალა, აღნიშნულია, რომ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულია პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატის ბეგლარ სიორიძის ფეისბუკ-გვერდი. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება მიიჩნევს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე „ქართული ოცნების კანდიდატის“ ფეისბუკის განთავსებით ირღვევა „საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესები წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით.

*„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდი არის ადმინისტრაციული რესურსი, კერძოდ, მუნიციპალიტეტის კუთვნილი საკომუნიკაციო-საინფორმაციო საშუალება, რომელსაც ადმინისტრირებას უწევენ მასში დასაქმებული პირები, როგორც წესი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები. შესაბამისად ეს საკომუნიკაციო რესურსი უნდა ემსახურებოდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობებისა და აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. ამ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ერთიანი ვებ-გვერდი, საკომუნიკაციო საშუალებები გამოიყენება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატის წინასაარჩევნო*

▶▶▶ გვ-5

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე
«ალიონით»

# შპს „პირამიდას“ ექსკავატორი მდ. ბჟუჟმა დასილა



სამუშაოები ჰქონდა დარჩენილი. ძვირადღირებული ტექნიკა დაუზიანდათ, თუმცა მისი აღდგენა შესაძლებელია – გვითხრა მერაბ წივწივაძემ.

ძლიერ ადიდებული იყო მდინარე აჭისწყლის არხი, რომელიც მანქანათმშენებელი ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე უერთდება მდინარე აჭისწყალს. ძლიერ დაიტბორა მანქანათმშენებელი ქარხნის მიმდებარე ტერიტორია. მდინარე ტარიელ პაპავას სახლშიც შევარდა. სამაშველო სამსახურიც კი უძლური აღმოჩნდა სტიქიის მიმართ.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ბეგლარ სიორიძემ დაზარალებული ოჯახები მოინახულა და შექმნილ პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

ამ დროისათვის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. ასევე, მობილიზებულია შესაბამისი სამსახურები.

დაზარალებული მოქალაქეებისათვის ქალაქის მერიაში მოქმედებს
ცხელი ხაზი:
**595 22 08 26;**
**599 36 35 10;**

# არჩილ თალაკვაძე - კანონდებლობა არ უკრძალავს საჯარო მოხელეებს, სამუშაო საათების შემდეგ წინასაარჩევნო შეხვედრებს დაესწრონ



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე მიიჩნევს, რომ სამუშაო საათების შემდეგ ან უქმე დღეებში საჯარო მოხელეების წინასარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობა სისტემურ პრობლემას ან კანონმდებლობის დარღვევას არ წარმოადგენს.

არჩილ თალაკვაძე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიშს გამოეხმაურა, სადაც აღნიშნულია, რომ ყველაზე პრობლემური საკითხი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სწორედ საჯარო მოხელეების მობილიზაციაა.

„რაც შეეხება ანგარიშში მოყვანილ ფაქტებს, როდესაც ბაღის და სკოლის თანამშრომლები, არქიტექტორები, ექიმები თუ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები ესწრებიან შეხვედრებს, რომელსაც ჩვენ 18:00 საათის შემდეგ ვმართავთ, როგორც იცით, კანონდებლობა არ უკრძალავთ ამ ადამიანებს, რომ წინასაარჩევნო შეხვედრებს დაესწრონ სამუშაო საათების შემდეგ ან უქმე დღეებში. შესაბამისად, მე არ ვფიქრობ, რომ ეს არის სისტემური პრობლემა დღევანდელი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში“, - აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

არჩილ თალაკვაძემ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აღნიშნული კვლევის შედეგების გამო გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ანგარიშში შესული არ არის ისეთი საკითხები, რომელიც ოპოზიციური პარტიების მიერ საარჩევნო კანონმდელობის დარღვევებს ეხება.

„გავეცანი კვლევის მიმოხილვას, პირველ რიგში, ძალიან სასიხარულოა, რომ კვლევაში არაფერია ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, რომ მედიასთან ხელმისაწვდომობის კუთხით ოპოზიციას რაიმე პრობლემა აქვს. კვლევაში არაფერია ნათქვამი პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით, რაც როგორც ჩანს, წესრიგშია და ძალიან კარგია. ასევე არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას თბილისში ან რეგიონებში ხელი ეშლება თავისი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართოს შეხვედრები, იქირაოს ოფისები და გააკეთოს ის, რასაც წინასაარჩევნოდ საჭიროდ თვლის. ეს არის უდავოდ მონაპოვარი ბოლო ხუთი წლის, ჩვენი ხელისუფლების და საზოგადოების მიერ.

ასევე ვწუხვარ, რომ ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმ მთავარი დარღვევების შესახებ, რომელსაც ოპოზიციური პარტიების მხრიდან ჰქონდა ადგილი. იკვეთება დარღვევები ოპოზიციის მხრიდან ძირითადად 4 მიმართულებით, ეს არის სააგიტაციო მასალების განადგურება მრავალ მისამართზე, რომელიც დოკუმენტირებულია და ჩვენ გადავუგზავნეთ სადამკვირვებლო მისიას;

კვლევაში არაფერია ნათქვამი ოპოზიციის მიერ დაფინანსებულ მადისკრეტირებელ და დეზინფორმირებულ კამპანიებზე სოციალურ მედიაში, რაზეც ათეულობით ლინკი გადავუგზავნეთ სადამკვირვებლო მისიას;

არაფერია ნათქვამი, იმ ფაქტებზე, როდესაც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ჩართული არიან კანონის დარღვევით სააგიტაციო კამპანიაში და ზეწოლასაც კი ახდენდნენ რამდენიმე შემთხვევაში ამომრჩეველზე;

ასევე, არაფერია ნათქვამი, რომ ჩვენი ოფისების მუშაობის ხელშეშლის რამდენიმე შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი სავარაუდოდ, ოპოზიციის მიერ მართული ჯგუფების მხრიდან“, - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

# სტიქია გურიაში

გურიაში ძლიერი წვიმისა და ქარის გამო, დაზიანდა და წაღებულია შიდა სასოფლო გზები, გაბიონები, ხიდები და მილხიდები, დაიტბორა საცხოვრებელი სახლები, განვითარდა მეწყრული პროცესები.

გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, უამინდობის გამო შექმნილ პრობლემებს ადგილზე ეცნობა და მათი გადაჭრის გზებს განიხილავდა. სტიქიასთან ბრძოლის მუნიციპალური შტაბები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ, მობილიზებულია სამაშველო ბრიგადები და მობილური ჯგუფები.

ქარიშხალმა დააზიანა საცხოვრებელი სახლების სახურავები ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რამდენიმე სოფელში. სამტრედია-ჩოხატაურის გზაზე, საჯავახოს მონაკვეთზე 3 ადგილზე ჩამოწვა მეწყერი, რამაც მოძრაობა დროებით შეაფერხა. ტექნიკა მობილიზებულია და გზა უკვე გახსნილია. მეწყრული პროცესები განვითარდა ჩოხატაურის რამდენიმე სოფელში, დაზიანებულია საცხოვრებელი სახლების სახურავები, შიდა სასოფლო გზები, მათ შორის მაღალმთიანი სოფელ სურების გზა, რომელზეც მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ძლიერმა ნალექმა წაიღო გზის გარკვეული მონაკვეთი, მასზე მოწყობილი გარე განათების ბოძებით. მობილიზებულია ტექნიკა და მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში, წითელმთის მონაკვეთზე ადიდებულმა მდინარე ბჟუჟმა საფრთხე შეუქმნა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებს. ცხემლისხიდში ადიდებულია მდინარე ნატანები, მორღვეულია ნაპირსამაგრი გაბიონი. ჭარბი ნალექიანობის გამო, მდინარეების აჭის წყლისა და ბჟუჟის კალაპოტებში წყლის დონის მატებამ ვეღარ უზრუნველყო ჩამდინარე პატარა მდინარეების ნაკადის მიღება, რის გამოც მცირე ხნით ქალაქში მოძრაობა შეფერხდა. ქალაქ ოზურგეთში 2015 -2017 წლებში შესრულებულმა ნაპირდამცავმა ნაგებობებმა - გაბიონებმა და ჯებირებმა მაქსიმალურად უზრუნველყვეს ქალაქში მდინარეების სანაპიროების მიმდებარე ტერიტორიების დაცვა დატბორვისაგან.

გზები დაზიანდა ლანჩხუთის თითქმის ყველა სოფელში.მ დინარეები გადმოსულია კალაპოტიდან და დატბორილია მიმდებარე ტერიტორია - გზები და საყანე ფართობები. დაზიანებულია და წაღებულია ხიდები. განვითარდა მეწყრული პროცესები ლანჩხუთის სოფლებში: აკეთში, აცანაში, ნიგვზიანში, მამათსა და ნინოშვილში. მეწყერი ემუქრება საცხოვრებელ სახლებს. ტექნიკა მობილიზებულია, მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები. დაზიანებულია დაახლოებით 40 საცხოვრებელი სახლის სახურავი. ასევე, საბავშვო ბაღის სახურავი სოფ. ჩიბათში. დაიტბორა სკოლისა და ბაღის პირველი სართული სუფსაში.

უამინდობის მიუხედავად გურიის რეგიონს ელექტროენერგია უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება. იყო მცირე დაზიანებები. „ენერგო პრო ჯორჯიას“ თანამშრომლებმა ოპერატიული მოქმედებების შედეგად პრობლემა დროულად აღმოფხვრეს. მონაცემები პერიოდულად იცვლება და მიმდინარეობს ზარალის დათვლა.



# სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა

გურიის გუბერნატორის მერაბ ჭანუყვაძის ხელმძღვანელობით სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული სათათბირო ორგანოს - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა.

სხდომაზე, რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები განიხილეს. იმსჯელეს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე და პრობლემების გადაჭრის სამოქმედო გეგმა დასახეს.



საკონსულტაციო საბჭოს სხდომას გუბერნატორის მოადგილე, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები დაესწრნენ.

# ხიდის მშენებლობა მელექედურში



აქტიურ ფაზაშია სოფელ მელექედურის 2 უბნის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა.

მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ბადრი გობრონიძემ და ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის სპეციალისტმა გია ნიკოლაიშვილმა დაათვალიერეს.

სამუშაოებს შპს „მშენებელი-21“ აწარმოებს.

პროექტის ღირებულება შეადგენს 10 138 ლარს.

# ოზურგეთის მუნიციპა– ლიტეტის მერობის კანდიდატები

## ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქი

## 21 ოქტომბერი, 2017 წელი




### მიხეილ გოგოტიშვილი
**ევროპული საქართველო №2**

დაიბადა 1975 წლის 9 თებერვალს. დაამთავრა სოფ. დვაბზუს საშუალო სკოლა.

1996-1997 წლებში იყო ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავჯდომარე.

2002-2005 წლებში - დვაბზუს თემის გამგებელი.

2005-2006 წლებში - ოზურგეთის ასოცირებული საკრებულოს თავჯდომარე.

2006-2010 წლებში - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე.

2012 წლიდან დღემდე - ოზურგეთის საკრებულოს წევრი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



### გოჩა ძიმისტარიშვილი
**დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველო" № 3**

დაიბადა 1966 წ. 05 აგვისტოს ქ.ოზურგეთში. დაამთავრა ქ. ოზურგეთის მე-2 საშუალო სკოლა და ქ. მოსკოვში რუსეთის განათლების აკადემიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

სამუშაო გამოცდილება:

ოზურგეთის სახანძრო ნაწილი მეხანძრე-1985-87 წწ.

ოზურგეთის პოლიცია-ექსპერტ-კრიმინალისტი-1993-96 წწ

2003 წლიდან დღემდე - ადვოკატი

2014 წლიდან დღემდე ქ. ოზურგეთის საკრებულოს წევრი.

ჰყავს მეუღლე ნანა ყაზაიშვილი და შვილები გიორგი 11 წლის, მარიამი 2 წლის

არის აფხაზეთის ომის მონაწილე




### თორნიკე გოგუაძე
**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა " №5**

29 წლის, განათლებით პოლიგრაფი

დააარსა საქველმოქმედო ფონდი "ოქროს ხელები" , ეწევა ფერმერულ საქმიანობას

საარჩევნო დევიზი- "გავერთიანდეთ ოზურგეთის გადასარჩენად"




### დავით მამალაძე
**საქართველოს ლეიბორისტური პარტია №10**

დაიბადა 1974 წლის 12 დეკემბერს ქ. ბათუმში.

1991 წელს დაამთავრა ქ. ოზურგეთის მე-2 საშუალო სკოლა. 1991-92 წლებში ემზადებოდა უმაღლესი განათლების მისაღებად და პარალელურად მუშაობდა ამიერკავკასიის რკინისგზის დეპარტამენტის სამტრედიის 6 2 ხიდმშენში მუშად, მებეტონედ. 1992 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე.

მაგრამ 6 თვის შემდეგ ცნობილი მოვლენების განვითარების გამო, ჩვენს ქვეყანასა და მოსკოვში შექმნილი ვითარების გამო, იძულებული გახდა, ჩამოსულიყო საქართველოში და სწავლა გააგრძელა თბ. დამ.უნივ.აჭარაში იმავე სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1997 წელს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



### კობა ჯორბენაძე„
**პარტია გიორგი ვაშაძე-ერთობა ახალი საქართველო №27**

დაიბადა 1979 წლის 19 დეკემბერს. 1997 წელს დააამთავრა ქ. ლანჩხუთის სოფ. ჩიბათის საშუალო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა ქ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე სპეციალობით აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი და დაამთავრა 2001 წელს. 2008-2011 წწ მუშაობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში მთავარ სპეციალისტად, 2011 წლიდან – იგივე მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურში მთავარ სპეციალისტად.

2014 წლის შემდეგ ეწევა კერძო ბიზნესს.



### ბეგლარ სიორიძე
**„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" № 41**

დაიბადა 1965 წლის 18 იანვარს ქ. ოზურგეთში;

1981 წელს დაამთავრა ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლა;

1988 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი ქ. სოხუმში;

1988 - 1990 წლებში მუშაობდა ქ. ოზურგეთში (ყოფილი მახარაძე) კულტურისა და სპორტის განყოფილებაში;

1991 - 1997 წლებში იყო გურიის პირველი დამოუკიდებელი ტელევიზიის (ტელეკომპანია „გურია") ჯერ კომერციული, შემდეგ კი გენერალური დირექტორი;

1997 - 2005 წლებში ეკავა შპს „ევროცენტრის" გენერალური დირექტორის თანამდებობა;

2000 - 2008 წლებში იყო შპს „ქართული თხილი სიო 2000"- ის დირექტორი;

2000 - 2010 წლებში ეკავა შპს „თხილის საექსპორტო კომპანიის" გენერალური დირექტორის თანამდებობა;

2014 წლის აგვისტოდან ბოლო დრომდე იყო ქალაქ ოზურგეთის მერი;

ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.



### კონსტანტინე შარაშენიძე
**დამოუკიდებელი კანდიდატი №42**

დაიბადა 07.02.1973. დაამთავრა ოზურგეთის მე-2 საშუალო სკოლა. 1995 წელს - - თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა/ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი. მინიჭებული ხარისხი/კვალიფიკაცია-ეკონომისტი-მენეჯერი. 1990-1991 წწ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი-მენეჯმენტის ფაკულტეტი.

მინიჭებული ხარისხი/კვალიფიკაცია- მენეჯერი. 1996-1997 წწ - სოფელ დვაბზუს გამგებელი. 1997-1998 წწ გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი-სამდივნოს უფროსი.

1998-1999წწ - გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი-წამყვანი მრჩეველი.

2000-2002 წწ საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახური-კონკურენციის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

2002-2006 წწ გურიის აგრობიზნესცენტრი-ფერმერულ ასოციაციებთან ურთიერთობის მენეჯერი. 2008-2010 წწ - სს ""ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"" ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკის ავტოგასამართი სადგურის მენეჯერი.

2012-2014წწ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2014-2017 ""Cartu Group Holding"" - აჭარაგურიის რაიონის სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელი.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# 2017 წლის 21 ოქტომბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები გაიმართება

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

## ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

**კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე მისვლისას თქვენ გადმოგეცემათ საარჩევნო ბიულეტენები:**

- საკრებულოს პროპორციული არჩევნებისთვის (პარტიების, ბლოკების ჩამონათვალი)
- საკრებულოს მაჟორიტარული არჩევნებისთვის (მაჟორიტარი კანდიდატების ჩამონათვალი)
- მერის არჩევნებისთვის (მერობის კანდიდატების ჩამონათვალი)

*თითოეულ საარჩევნო ბიულეტენში თქვენ უნდა შემოხაზოთ*
*თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი*

კენჭისყრა იმართება 08.00 საათიდან 20.00 საათამდე



კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

**თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**



მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიკეთეთ მარკირება

**მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება**



ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები

კენჭისყრის კაბინაში თითოეულ საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა



**თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი**

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

**კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი**

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
არჩევნები 2017

# ვმუშაობთ შენთვის!

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტები ოზურგეთში

*აგიტაციის მიზნით. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას და ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტის ორგანოთა ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის პრინციპს. მსგავსი მიდგომით შეუძლებელი ხდება ზღვრის გავლება მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და პარტიულ აქტივობას შორის", – აღნიშნულია განცხადებაში.*

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" ითხოვს აღნიშნული ფაქტის სამართლებრივ შეფასებას, ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების გამო, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებისთვის და მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირისათვის სანქციის დაკისრებას.

№60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში ამ დროისათვის საჩივრის სახით შეტანილი ოთხი განცხადებიდან ორი 60/21 მაჟორიტარულ ოლქში დამოუკიდებელი კანდიდატის საინიციატივო ჯგუფის წევრს **ტიტე ბაქანიძეს** ეკუთვნის. ერთშიც ის მოწმედ ფიგურირებს. ბაქანიძემ ორივე განცხადება საოლქოში 9 ოქტომბერს შეიტანა.

პირველ განცხადებაში ბატონი ტიტე აღნიშნავს, რომ 3 ოქტომბერს 16 საათზე მერობის კანდიდატს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან" ბეგლარ სიორიძეს სოფელ ნატანებში შეხვედრა ჰქონდა ამომრჩევლებთან. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ზემო ნატანების საჯარო სკოლის დირექტორი ლაშა ბოლქვაძე, ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის" დირექტორი გოჩა კვანტალიანი და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რაც არის საარჩევნო კანონის დარღვევა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

ბაქანიძის მეორე განცხადებაში მოყვანილი ფაქტიც სოფელ ნატანებშია დაფიქსირებული: *„23 სექტემბერს სოფელ ნატანებში ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს აწარმოებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი გრეიდერი, რომელსაც თან ახლდა „ქართული ოცნების" კოორდინატორი 60/61 უბანში როლანდ ჭყონია. 14 სექტემბერს მივმართე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას კითხვით – რა სამუშაოები იყო დაგეგმილი სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ნატანებში, საიდანაც მიპასუხეს, რომ ამ თვეებში სოფელ ნატანებში არანაირი ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ იყო დაგეგმილი. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული სამუშაო სრულდებოდა მმართველი პარტიისა და მისი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის მიზნით."*

№60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიას ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტზე განცხადებით მიმართა **„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" (საია) ოზურგეთის წარმომადგენლობამაც.**

*„გაზეთ „გურია ნიუსის" ინფორმაციით, 2 ოქტომბერს „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატი, ქალაქ ოზურგეთის მოქმედი მერი ბეგლარ სიორიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში მდებარე საარჩევნო შტაბში სამსახურებრივი ავტომანქანით იყო მისული (ფაქტს ადასტურებს მოწმე ტიტე ბაქანიძე, მცხოვრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში.*

*როგორც მოწმით, ისე ფოტომასალით, რომელზეც ასახულია ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით* ***FCF*** *919, დადასტურებულია, რომ „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატი ბეგლარ სიორიძე სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანით იმყოფებოდა სოფელ ნატანებში მდებარე საარჩევნო შტაბში, რომელიც განთავსებულია ამავე სოფელში მცხოვრები ბახვა (ბახული) ზოიძის სახლში. მიგვაჩნია, რომ ამ ქმედებით ბეგლარ სიორიძის მხრიდან ადგილი აქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.*

*საქართველოს საარჩევნო კანონის 48-ე მუხლის (წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა) 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კანონის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება; მათ შორის იკრძალება: სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების გამოყენება.*

*ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მათი სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების შემთხვევაზე, რომელთა დაცვას კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. თუმცა, ამ გამონაკლის შემთხვევას, მოცემულ ფაქტთან მიმართებაში ადგილი არ აქვს. შესაბამისად, სახეზეა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს (მათ შორის საია-ს) შორის გაფორმებული მემორანდუმის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გაკეთებული განმარტებებიც გვაძლევს საფუძველს, რომ ადგილი აქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისათვის გაფორმებული ქცევის კოდექსის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია თავისი საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს გადამოწმებული და ზუსტი ინფორმაციით.*

*ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყოთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოება და მიიღოთ შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილება."*

№ 60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ზვიად თენიეშვილის თქმით, კომისიამ საჩივრის სახით შესული ოთხივე საკითხი განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიიღო:

*„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" განცხადების საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე მითითებულია პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატის ბეგლარ სიორიძის ფეისბუკ-გვერდი, შევადგინეთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი, რომელიც გავუგზავნეთ სასამართლოს. სასამართლო ჩანიშნავს სხდომას და მიიღებს გადაწყვეტილებას დააჯარიმებს თუ არა პასუხისმგებელ პირს 2000 ლარით. რა ვადაში? ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა.*

*რაც შეეხება ტიტე ბაქანიძის განცხადებებს: პირველ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც, რამდენადაც მახსოვს, აღნიშნულია, რომ სამუშაო დღეს, 16 საათზე ამომრჩეველთან მერობის კანდიდატის „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატ ბეგლარ სიორიძესთან შეხვედრას ესწრებოდნენ ზემო ნატანების საჯარო სკოლის დირექტორი, ა(ა)იპ ქალაქ ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორი გოჩა კვანტალიანი და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მიმდინარეობს მოკვლევა, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით წერილები გაგზავნილია მუნიციპალიტეტსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრში*

*მოვიკვლიეთ და გავეცით პასუხი მეორე განცხადებას, რომელშიც განცხადების ავტორი ამბობს, რომ სოფელში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება მმართველი პარტიისა და მისი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის მიზნით. ეს პასუხი გადავეცით ბატონ ტიტე ბაქანიძეს, მას უნდა გაესაჩივრებინა სასამართლოში, რადგან საარჩევნო ადმინისტრაცია არ განიხილავს საკითხს მოსყიდვასთან დაკავშირებით.*

*მიმდინარეობს საია-ს ოზურგეთის წარმომადგენლობის საჩივრის მოკვლევა, რომელშიც ახალგაზრდა იურისტები ასაბუთებენ, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატის ბეგლარ სიორიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, კერძოდ, სოფელ ნატანებში საარჩევნო შტაბში სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანით მისვლას. დაბარებული გვყავდა მხარეები, ტიტე ბაქანიძემ თავისი ახსნა-განმარტება დაწერა. მიმდინარეობს მოკვლევა და მალე იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებაც".*

**თემურ მარშანიშვილი,**
**გიორგი ასათიანი,**
**გაზეთი "ალიონი"**

***სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამენტი" ფარგლებში.***

***ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.***

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

## ამომრჩევლის გულისტკივილი

# „ეტყობა დამივიწყეს, რატომ არ უნდა მივცე ხმა?"

ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის №58-ში მცხოვრები, 85 წლის ნათელა რამიშვილი სავარაუდოდ წელსაც ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. ამის ერთ-ერთი მიზეზი, წლებია თაყაიშვილის (ყოფილი ხაჭაპურიძის) ქუჩის მოსახლეობის ერთი ნაწილი არა ექადიის, არამედ სერის უბნის №8 საარჩევნო უბანში აძლევს ხმას, ხოლო თაყაიშვილის (ყოფილი აბაშიძის) ქუჩის) მოსახლეობის ნაწილი – ექადიაზე, №10 საარჩევნო უბანში.

თუ რატომ გააკეთეს ეს თავის დროზე, გასაგებია, მაგრამ შემდეგ ხომ შეიძლებოდა გამოსწორება?

– წინა ხელისუფლების დროს მამაჩემი, ვალერიან რამიშვილი ჰყავდათ საარჩევნო სიაში. მამა 1941 წელს წავიდა ფრონტზე. მაშინ 9 წლის ვიყავი. 1943 წელში დაიღუპა დონის როსტოვთან....მამაჩემი ექადიის №10 საარჩევნო უბანში 2005-2011 წლებში ჰყავდათ საარჩევნო სიაში(?!). მე კი, რატომღაც სერის საარჩევნო უბანში უნდა მიმეცა ხმა.

მე შარშან არ მიმიღია ამომრჩევლის ბარათი და ხმა არ მიმიცია. არჩილ თალაკვაძე კარგი დეპუტატია, მომწონს. კი აირჩიეს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ჩემი ხმაც მიეღო.

ექადიის №10 საარჩევნო უბნიდან 5 საარჩევნო ბარათი მივიღეთ. საარჩევნო სიაში №306 ჩემი შუათანა ვაჟი ავთანდილი ჰყავთ. იგი 15 წელზე მეტია გერმანიაში ცხოვრობს. №307 და №308 ბარათი ვაჟა კალანდაძეზეა მოსული. №307 ვაჟა კალანდაძე (დაბადებული 16.02.-1959) ამ მისამართზე არ ცხოვრობს, უფროსი და უმცროსი ვაჟი მერაბი და ზაზა საარჩევნოდ ჩამოვლენ თბილისიდან.

ამომრჩევლის ბარათში წერია:–**„იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მონაცემები არაზუსტი ან არასწორია, თქვენ მიიღეთ ამომრჩევლის ბარათი, რომელიც თქვენს მისამართზე არაა რეგისტრირებული, თქვენს მისამართზე რეგისტრირებულმა ამომრჩეველმა არ მიიღო ამომრჩევლის მონაცემების ბარათი, (შესაძლოა არ იყოს სიაში), 2017 წლის 3 ოქტობრის 18 საათამდე წერილობითი განცხადებით მიმართეთ საუბნო საარჩევნო კომისიას ან იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს.**"ეს წავიკითხე, მაგრამ ჩემი შვილების სახელზე მოსული ბარათში., ოღონდ აქ აღნიშნული თარიღიდან ერთი კვირის შემდეგ მივიღე იგი(?!).

არც არავინ მოსულა ჩემთან. მთელი ცხოვრება არჩევნებში ვმონაწილეობ. ახლა ასაკში ვარ, მარტო ვარ სახლში, მაგრამ **ჩემი ვალდებულება მინდა შევასრულო**. თუ სერზე ვერ მივალ ხმის მისაცემად, გადასატანი ყუთი ხომ არსებობს? თუ უცხოეთში მცხოვრებ ჩემს შვილს გამოუგზავნეს ბარათი, ჩემი სად დაკარგეს? ეტყობა დამივიწყეს...-გვითხრა ქალბატონმა **ნათელა რამიშვილმა...**

# ეთიკის კოდექსს მოაწერეს ხელი

ქვეყნის მასშტაბით ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში დოკუმენტს ხელი ერთდროულად 14 ოქტომბერს, ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა ეთიკის კოდექსს მოაწერეს ხელი. ქვეყნის მასშტაბით ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში დოკუმენტს ხელი ერთდროულად მოეწერა.

როგორც თამარ ჟვანიამ აღნიშნა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული კოდექსი ქცევის რამდენიმე ძირითად ნორმას აერთიანებს, ესენია: კანონის პატივისცემა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი.

–არჩევნებამდე ზუსტად 7 დღით ადრე, საარჩევნო ადმინისტრაციის, ყველა დონის საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა ერთდროულად მოვაწერეთ ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის ეთიკის კოდექსს. ეს ჩვენთვის და მთელი საზოგადოებისთვის ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გავატაროთ ჩვენს საქმიანობაში ის პრინციპები, რასაც ეს კოდექსი აღიარებს. ეს არის კანონის პატივისცემა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რომ ვიმოქმედოთ გამჭვირვალედ და ჩვენი საქმიანობა იყოს მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისი. ვთვლი, რომ ამ პრინციპების გაზიარებას, გათავისებას და პრაქტიკაში გატარებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საარჩევნო ადმინისტრაცია წლებია უკვე სწორედ ამ პრინციპებს ემსახურება და დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ეთიკურად და მაღალპროფესიულად ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები,- განაცხადა თამარ ჟვანიამ.

კოდექსის თანახმად საარჩევნო კომისიების წევრები ვალდებული არიან უზრუნველყონ საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტი და თანმიმდევრული განხორციელება, ფუნქციების შესრულებისას იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები; უზრუნველყონ საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირთათვის თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა.

ეთიკის კოდექსი არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებისა და ამომრჩეველთა მხრიდან ნდობის ამაღლების მიზნით შემუშავდა.

ფეხბურთი

# ლიდერები უცვლელია

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონლიგაში („ა“ჯგუფი), 21-ე ტურში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდარა. გათამაშების ლიდერი ჩოხატაურის „ბახმარო“ ზუგდიდში „ოდიში 1919 -2-ს“ შეხვდა და 10:2 დაამარცხა მასპინძლები. ჩხოროწყუს „ლესიჭინემ“ კი „სალხინოს“ სძლია 2:1. „ბახმაროს“ 21 ტურის შემდეგ (15 მოგება, 5 ფრე, 1 წაგება, ბ/შ 54-12), 50 ქულა აქვს. მეორე საფეხურზე 48 ქულით „ლესიჭინეა.“ „მერცხალი“ 22 ქულით კვლავ მე-11 ადგილზეა.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბახმარო | 21 | 15 | 5 | 1 | 54 | 12 | 42 | 50 |
| ლესიჭინე | 21 | 15 | 3 | 3 | 46 | 22 | 24 | 48 |
| მაჭახელა | 20 | 14 | 3 | 3 | 42 | 16 | 26 | 45 |
| სამგურალი 2 | 21 | 13 | 4 | 4 | 43 | 20 | 23 | 43 |
| ტორპედო 2 | 22 | 13 | 3 | 6 | 56 | 22 | 34 | 42 |
| ხიხანი | 20 | 10 | 8 | 2 | 41 | 20 | 21 | 38 |
| დინამო ბთ 2 | 22 | 9 | 3 | 10 | 43 | 41 | 2 | 30 |
| განა | 22 | 8 | 4 | 10 | 38 | 43 | -5 | 28 |
| რაჭა | 21 | 7 | 2 | 12 | 39 | 51 | -12 | 23 |
| საირმე | 21 | 7 | 2 | 12 | 44 | 44 | 0 | 23 |
| მერცხალი | 21 | 6 | 4 | 11 | 32 | 42 | -10 | 22 |
| ეგრისი | 22 | 5 | 6 | 11 | 30 | 47 | -17 | 21 |
| სალხინო | 21 | 6 | 2 | 13 | 32 | 42 | -10 | 20 |
| იმერეთი 2 | 21 | 5 | 3 | 13 | 28 | 70 | -42 | 18 |
| ოდიში 1919 2 | 22 | 0 | 0 | 22 | 20 | 96 | -76 | 0 |


# იყიდება

ოზურგეთში, ბაზართან ახლოს იყიდება კაპიტალური, 2-სართულიანი 600კვ მ სახლი, ფაბლის კარ-ფანჯრით, აუცილებელი ავეჯით, ჩეხური კაფელ-მეთლახით, 1200 კვ მ ეზოთი, დიდი ტალავერით და ყველანაირი ხეხილით. ეზოში არის დამხმარე კაპიტალური სათავსოები მცირე ფერმებისთვის. სახლში არის 4 სველი წერტილი და 2 სამზარეულო, შეყვანილია ბუნებრივი აირი. ხათუნა. ტელეფონი 579 791177.


## უფასო განცხადება ტალონი

*90 ბეჭვდითი ნიშანი უფასოდ!*

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია. 90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექნებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

# სკანვორდი



მსუბუქი ქარი; საჭრელი იარაღი; გიჟი; უბანი ოზურგეთში; ქართველი პოეტი; შ. დადიანის სოფელი ჭიათურაში; ქონდრის კაცი; ჩქარის ანტიპოდი; მწვანე კონტინენტი; უზბეკეთის დედაქალაქი; გამზრდელი; გორბაჩოვის მეუღლე; ცეცხლის ენა; ექვსიანი ნარდში; ილეთი ჭიდაობაში; სასიმინდე; ასკანიანი სოფელი; მსოფლიო ექსჩემპიონი ჭადრაკში; მაროს დაქალი; ქალის სახელი; ცხიმი; დასასვენებელი ადგილი; მინერალური წყალი; საფეხბურთო ტერმინი; ქიმიური ელემენტი; ქალის სახელი; იაპონიის დედაქალაქი; დედამიწის თანამგზავრი; ქალაქი რაჭაში; დიახ; კოლხთა მეფე; მესამე პირის ნაცვალსახელი; პატარა საწნახელი; .... ბენდერი; „უთავო მხედრის“ ავტორი; სოფელი სამეგრელოში; ძლიერი ქარი; სიცილის კუნძული; მარჯვე; რაიონი აფხაზეთში

## № 40-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ვალერიან კანთელაძე; ეკლიანი მცენარე — ასკილი; კოპიტი — იფანი; კატა — ფისო; ... გიუნტერი — ანი; „არაჩვეულებრივი გამოფენის“ პერსონაჟი — აგული; ატომის დამშლელი ფიზიკოსი — რეზერფორდი; ისლანდიის დედაქალაქი — რეიკიავიკი; თევზის ძვალი — ფხა; ილია მოფერებით — ილო; მშობელი — მამა; ქართული ტელეკომპანია — იმედი; წელიწადის დრო — ზაფხული; კოშკი პარიზში — ეიფელი; მაკარონის სახეობა — როშკა, სამგიდო თამაში — დომინო; ტარაბუა — რეტი; მესამე ნოტი — მი; წყნეთელი გმირი ქალი — მაია; კრძალკისერა ცხოველი — ჟირაფი; პალმის სახეობა — ქოქოსი; არეულობა — ქაოსი; კარგი ამინდი — დარი; ანბანის პირველი ასო — ა; მსუბუქი ქარი — ნიავი; ცხენკაცი — კენტავრი; ძვირფასი ნივთი — რელიქვია; მებალე — ნინია; მამაკაცის სახელი — ზოსიმე; ირაკლი მოფერებით — იკა; ხელოვნურად გაშენებული ტყის ნაწილი — ტევრი; სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტში — ნოსირი; ძეხვეულის სახეობა — სოსისი; იტალიური ტელეკომპანია — რაი; ფერადკანიანი — მავრი; მწვერვალის უმაღლესი წერტილი — პიკი; გუდრონი — ფისი; სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში — ვაკიჯვარი; მუსიკალური საკრავი — საზანდარი; პირველი პირის ნაცვალსახელი — მე; მდინარე ციმბირში — ირტიში.

თეატრის თემაზე განვაგრძობთ ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის ვაჟა ჭანუყვაძის პუბლიკაციების ბეჭდვას. ამჯერად გთავაზობთ ფრაგმენტს ავტორისეული მოგონებებიდან „თენგიზ ჩანტლაძე“ და „გურიაში რა გინდოდა“

# ბერეზნიკის „ფორუმი“



ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის თანამშრომლები 70-იან წლებში. პირველ რიგში მარჯვნიდან მე-3 ვაჟა ჭანუყვაძე

ბერეზნიკში გამართული თათბირ-სემინარის პერიპეტიების ანალიზით თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ ის უნდა აღვნიშნო, რომ ის საკითხები, რომლებიც მაშინ გვაწუხებდა, იმჟამადაც აქტუალური იყო.

ვაჟა ბრეგაძის გამოსვლას აღნიშნულ კონფერენციაზე თავიდანვე ტაშით შეეგებნენ. ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესების თაობაზე საკმაოდ იყვნენ გაცნობიერებულნი, სმენოდათ სპექტაკლების, - „ყვარყვარესა“ და „კავკასიური ცარცის წრის“ შესახებაც.

თათბირის ჩასატარებლად რუსეთის ეს ქალაქი შემთხვევით არ შეურჩევიათ.

ადგილობრივი თეატრის შენობა და იქაური თეატრალური დასი კულტურის უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა, ხოლო საკუთრივ ბერეზნიკი ერთგვარ საჩვენებელ ქალაქად ითვლებოდა. მას ერთგვარ პროპაგანდისტული დანიშნულებაც ენიჭებოდა იმდროინდელ საბჭოეთის სინამდვილეში.

დილიდან შუადღემდე თათბირ-სემინარები ტარდებოდა. მერე სადილისა და შესვენების დრო დგებოდა...

პირველივე დღეს სპექტაკლიდან დაბრუნებულები სასტუმროს რესტორანში ვვახშმობდით. რესტორანი მართლაც პირველი კლასის გახლდათ. ბერეზნიკში ჩამოსვლას აღვნიშნავდით. ჯერ სადღეგრძელოც არ წარმოგვეთქვა, რომ ვიღაც კაცმა ფაცხაფუცხით მოირბინა და მობოდიშებით გვითხრა: მინისტრის მოადგილე ქართველებს თავისთან გეპატიჟებათო. თანაც დასძინა, მე მისი მრჩეველი ვარ და თქვენთან პირადად გაცნობა სწადიაო... ერთგვარი სიამაყის განცდა დამეუფლა, - საკავშირო კულტურის მინისტრის მოადგილე გვეპატიჟებოდა!..

ჩვენი მასპინძელი თეატრების საკითხში თვითონ იყო პირველი კაცი. მან დიდი ხნის ნაცნობებივით მიგვიღო, სათითაოდ გამოგვკითხა გვარ-სახელები და თანამდებობანი. მერე რატომღაც ჩვენი სამუშაო ადგილებით და პირობებითაც კი დაინტერესდა.

რადგანაც მასპინძლები არაყს სვამდნენ, ჩვენც იძულებულნი შევიქმენით არაყი დაგვეჭაშნიკებინა.

ლაპარაკს შევექეცით.

ეტყობა, მინისტრის მოადგილე რაღაცის თქმას აპირებდა (ტყუილად ხომ არ დაგვიძახებდა), მაგრამ ვერ ახერხებდა...

ბატონმა გიორგიმ, როგორც ასაკით ყველაზე უფროსმა, სადღეგრძელოს წარმოთქმის ნება ითხოვა და მინისტრის მოადგილეს უთხრა:

—თქვენ და თქვენი სახით კულტურის სამინისტროს ვადღეგრძელებ და ჩვენი პატარა ჯგუფის სახელით მადლობას მოგახსენებთ, რომ საშუალება მოგვეცა ასეთ ფორუმში მიგველო მონაწილეობა.

იმედია, თეატრების საჭირბოროტო საკითხებს ნაწილობრივ მაინც ეშველება და ამდენად, ამ შეხვედრის მიზანმიმართულობაც გამართლებულია...

მერე ისიც ხაზგასმით აღნიშნა:

—ორიოდე ბოთლი „ხვანჭკარა“ მაქვს წამოღებული და თქვენზე უკეთესს, აბა, ვის ვუსაჩუქრებ!

-„ხვანჭკარა“ დამილევია, ძვირფასი რამეა!.. ჰო, როგორც გავიგე, თქვენ უკვე მოგიწიათ სამიოდე ლიტრი სპირტის დათმობა!.. - ხაზგასმით აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

სუფრა რომ დავამთავრეთ, მან ყველანი თავისთან აგვიყვანა ნომერში და იქაც არაყი გახსნა. ამასობაში გიორგიმაც ისარგებლა და თავისი „ხვანჭკარის“ ბოთლებიც იქვე დაარიგა.

ქეიფს რომ მოვრჩით, დამშვიდობებისას გვითხრა:

—როცა მოსკოვში მოხვდებით, უსათუოდ შემომიარეთ!.. — და ისიც დასძინა, დახმარებაც შემიძლიაო...

საოცარია რუსი კაცის ბუნება: რამდენადაც ცბიერი და დაუნდობელია პოლიტიკასა და დიპლომატიაში, იმდენად უბრალო და მიმნდობია პირად ურთიერთობაში...

მოსკოვში ყოფნისას კულტურის სამინისტროში შევაღწიე და მინისტრის მოადგილესთან შესვლაც მოვახერხე.

საკავშირო მინისტრის კაბინეტში შესულმა ჩემი პორტფელი გავხსენი და „ენისელის“ ბოთლები ამოვალაგე.

ყველა ბოთლი დაუხანებლად შეაწყო მაცივარში...

ჩვენს თეატრს მანამდე განათების მოძველებული აპარატურა გააჩნდა. პროჟექტორებიც არ იყო საკმარისად.

ბოლოს და ბოლოს, სარემონტოდ და აპარატურის შესაძენად თანხა გამოყვეს, ოღონდაც შეკვეთის გაგზავნას აპარატურის შესაძენად ორიოდე წელიწადი მაინც დააგვიანდებოდა... ჰოდა, გავბედე და მინისტრის მოადგილეს დახმარების თხოვნით შევბედე და ისიც უშურველად და ყურადღებიანად დამეხმარა, რის თაობაზეც შემდგომში გიამბობთ...

ზემოთ ვახსენე და აქაც გავიმეორებ, რომ ბერეზნიკში უამრავი კაფე და ბარია.

ერთ კვირა დღეს სხდომა მოგვიანებით იწყებოდა და ჩვენც გადავწყვიტეთ დილით ბარში გვესაუზმა და იქაური ლუდიც დაგვეჭაშნიკებინა. საამისოდ გრძელ რიგში დგომაც მოგვიხდა. ბოლო-ბოლო ჩვენმა რიგმაც მოაღწია და საუზმე და ლუდი ავიღეთ. არაყიც მოგვინდა და ძალიანაც ვინანეთ, რომ თან არ წამოვიღეთ, რადგანაც იმ ბარში სპირტიანი სასმელების დალევა ნებადართული არ გახლდათ...

აქ ისიც გაგვახსენდა, რომ თუნდაც მოსკოვის საუკეთესო ლუდის ბარ „ჟიგულიში“, გარდა შამპანურისა, სხვა სასმელს არ იძლეოდნენ...

გვერდით მოთავსებული სუფრიდან ერთი წამოდგა და გვეუბნება:

—ყური მოვკარი, არაყი მოითხოვეთ... შემიძლია გაგეგზავნოთ...

სამი ნახევარლიტრიანის ფული მივეცით. სწრაფად დაბრუნდა და ხურდაც კი დაგვიბრუნა.

—ბიჭებო - უთხრა გიორგიმ - ჩვენ ერთი ბოთლიც გვეყოფა, დანარჩენზე კი გეპატიჟებით...

მერეღა გავიგეთ, რომ თურმე პატიმრებისთვის განკუთვნილ ბარში შევსულვართ...

კიდევაც გვითხრა ერთ-ერთმა იმათგანმა, ვიდრე ქართველები ამ ქალაქში იქნებით, ბუზსაც ვერავინ აგიფრენთო (დამავიწყდა თავიდანვე, რომ ბერეზნიკში იმხანად აქტუალური იყო მსჯავრდებულთა „შენახვისა“ და „აღზრდის“ პრობლემა)!..

იქ ყოფნის პერიოდში ის ტიპები ორჯერ გვსტუმრობდნენ სასტუმროში. რესტორანშიც ვუმასპინძლეთ. ერთობ ზრდილი ყმაწვილები აღმოჩნდნენ. მსჯავრდებისა და გადასახლების ადგილებში გატარებულმა წლებმა მათში ბოლომდე ვერ წაშალა ადამიანური თვისებები და გრძნობები...

# მხიარულ ტალღაზე

ბატონი მიშა მელიქაძე ერთობ საინტერესო პიროვნება გახლდათ. იგი სახელისუფლებო ორგანოში განყოფილების გამგედ მუშაობდა. ნაფრონტალი იყო, თუმცა მხნეობას ერთთავად ინარჩუნებდა. ადრე პედაგოგად და სკოლის დირექტორადაც უმუშავია.

სხვებთან ურთიერთობა არასდროს ეშლებოდა, თუმცა ერთი აკვიატება ჰქონდა: ნებისმიერ საკითხზე უთუოდ უნდა გამოეთქვა თავისი აზრი, მოეტანა საპირისპირო ან იმ მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითები და ზოგჯერ კიდევაც შეტოპავდა...

იმხანად მოდაში შემოვიდა ღამით მუშაობა: საჭირო იყო თუ არა, ზოგიერთი თანამშრომელი გვიან ღამემდეც კი იმყოფებოდა შენობაში.

ზოგი მართლაც მუშაობდა, ზოგიერთი კი თავს ლაზღანდარობით ირთობდა...

ასე რომ, გამვლელებს ერთთავად თვალში ხვდებოდათ სახელისუფლებო დაწესებულებებში ანთებული ელნათურები...

ერთხელაც, ასევე შუაღამისას, რაიონის პირველი პირს, მოწყენილობის გამოისობით, ჩვენთან საუბარი მოუნდა და ისიც იფიქრა, ბარემ იმასაც შევამოწმებ, ამ შუაღამისას თუ ვინ რას აკეთებსო...

ჩვენ იმ მომენტში მიშა მელიქაძის ოთახში ვიყავით თავმოყრილნი და ანეკდოტებს ვყვებოდით.

მოულოდნელად რაიონის მესვეური შემოვიდა და მოგვესალმა... სასწრაფოდ წამოვდექით და ცოტათი შევცბით კიდევაც, რადგან ხელთ არც კალამი გვეჭირა და არც ფურცელი... ნათურა კი ჩვეულებრივ ბჟუტავდა... ამბები გამოგვკითხა, აბა, დღეს რას აკეთებთო...

მიშამ, როგორც ეს მას თანამდებობითაც ერგებოდა, ჩაუკაკლა ტყუილიც და მართალიც.

—ისე, კიდევაც შემეცოდეთ, ამ მბჟუტავ შუქზე როგორღა მუშაობთ? - იკითხა გაკვირვებულმა.

გამოღებულ ფანჯარასთან ვიდექით. გარეთ ზაფხულის მთვარიანი ღამე იდგა. მიშამ უმალ უპასუხა:

—თუ მთვარიანი საღამოა, მაშინ კიდევ რა გვიჭირს, თორემ ნათურასთან მუშაობა ძალიან გვიძნელდება!..

-—ართლაც კაი რამეა ეს დალოცვილი მთვარე... ეგ რომ არ ყოფილიყო, აბა, რა გვეშველებოდა!.. - რიხით წარმოსთქვა რაიონის თავკაცმა და გარეთ გაიჭრა, რომ არ გადაეხარხარა!..

X X X

ერთხელაც საუბარი ჩამოვარდა მეციტრუსეობასა და ჯანმრთელობისთვის ციტრუსის სასარგებლო თვისებებზე.

ვიღაცამ ისიც თქვა, ეს დალოცვილი რამდენიც არ უნდა მიირთვა, არც მოგბეზრდება და არც გაწყენსო...

—მაგის ამბავი მე მკითხეთ... - თქვა მიშამ — ამას წინათ კრებაზე ვიმყოფებოდი ჭანიეთში ჩემი მანქანით (სხვათა შორის, მიშას ხელმძღვანელ მუშაკთაგან ერთ-ერთ პირველს ჰყავდა საკუთარი „მოსკვიჩი“). კრების დამთავრების შემდეგ პურ-მარილზე წაგვიყვანეს. მაშინ იქ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბატონი გივი მჟავანაძე იყო... არ მომეშვნენ და ღვინო დამალევს. ბევრი ვიუარე, მაგრამ უარმა არ გაჭრა. მძღოლს მოგამაგრებთო, დამაიმედეს... იმ დღეს, სათვალავიც კი ამერია, ალბათ, 7 ან 8 ლიტრი ღვინო მაინც დავლიე!.. მერე კი, როგორც ნასვამ კაცს სჩვევია, უცხო მძღოლისთვის საჭის მინდობა ვიუკადრისე და თვითონ დავძარი ჩემი ავტო.

როცა მანქანა გარაჟში დავაყენე, მაშინღა აღმოვაჩინე, რომ უკანა სავარძელზე მანდარინებით სავსე ორი ჩაის საკრეფი კალათა იდგა... საჩუქრად გამოეტანებინათ. კალათები გადმოვიტანე და სახლში ისე შევზიდე, მეუღლე არ გამიღვიძებია, თვითონ კი იქვე, ტახტზე მივწექი და ჩამეძინა.

დილით კი თვალი გავახილე თუ არა, რას ვხედავ: მთელი ოთახი მანდარინის ნაფცქვენებითაა სავსე, ხოლო კალათები ცარიელი ალაგია... ეტყობა, ღამით მომწყურდა და ორი კალათი ციტრუსი გადავსანსლე!..

ჩვენგან ყველაზე ენამოსწრებულმა გური გოლიაძემ წაიქილიკა:

—მასე იქნებოდა, თორემ სხვანაირად 7-8 ლიტრ ღვინოს, აბა, როგორ მოინელებდი!..

X X X

ბატონ მიშას ზოგჯერ ცოტა გადამლაშება კი უყვარდა. ერთხელაც საუბარი ჩამოვარდა იმ თემაზე, რომ ტკბილეული კალორიების დიდი დოზით შემცველია და შიმშილის გრძნობას გარკვეული დროით აყუჩებს.

ვიღაცამ იმის მაგალითი მოიტანა, ერთ ფილა შოკოლადს თუ რა უებარი სამსახურის გაწევა შეუძლია საჭმლის არქონის პირობებში.

—ნათქვამს ჩემი გამოცდილებით დაგიდასტურებთ, - აიტაცა მიშამ - ჯარში სამსახურის პერიოდში, ერთხელაც სამზარეულოში გამამწესეს... მთელი საწყობი ჩვენს ხელთ იყო. ძალიან მოშიებული ვიყავი და სანამ საჭმელს ვაკეთებდით, მივადექი და თითქმის ერთი ვედრო შაქარი შემომეჭამა...

—ერთი ვედრო მართლაც ნამეტარია, ამდენი შაქარი ხომ მოგკლავდა შეკაცო!.. — შენიშნა გური გოლიაძემ.

—სამაგიეროდ, ორი ვედრო წყალი დავაყოლე!.. - არ შეეპუა მიშა.

X X X

ერთხელაც საუბარი ჩამოვარდა ადამიანის უნარსა და შესაძლებლობანზე.

—არის ხალხი, რომლებიც ყოველგვარი სიტუაციიიდან იპოვიან გამოსავალს — თქვა ვიღაცამ.

—მთავარია, არ დაიბნე და სასოწარკვეთამ არ შეგიპყროს... - დაემოწმა მეორე.

—მაგ თემაზე ერთ ეპიზოდს გიამბობთ - თქვა მიშამ.

უმალ გავფაფიცდით და არაორდინარული ისტორიის მოსასმენად გავემზადეთ.

—ერთხელ შორეულ რუსეთში ვიყავი დასასვენებლად - დაიწყო მიშამ, — შვებულების უდარდელი დღეები თვალსა და ხელს შუა შეუმჩნევლად ჩაგველია და სამშობლოში გამომგზავრების დროც დადგა.

უკან წამოსვლისას თვითმფრინავით მგზავრობა გადავწყვიტე. აეროპორტამდე კი ავტობუსით უნდა წავსულიყავი.

გამომგზავრებისას ვიღაცამ გამაფრთხილა: ახალი ტრასა კეთდება და გზაში შესაძლებელია შეფერხება მოგიწიოსო, მაგრამ მისი ნათქვამისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია.

**ვაჟა ჭანუყვაძე**

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. გაზეთი „ალიონი“ №№31-32, 35-38

# სახალხო დღესასწაული „დვაბზუობა 2017“



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის პროექტი, რომელიც სოფლების სახელობითი დღესასწაულების დაწესებას, ადგილობრივი ანსამბლების წარმოჩენასა და მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწეების გამოვლენას ითვალისწინებს, სოფელ დვაბზუში უკვე მეორე წელია იმართება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში სახალხო დღესასწაული „დვაბზუობა - 2017“ აღინიშნა, რომელსაც დაესწრნენ სოფლის მაცხოვრებლები, მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: „ზენაარი,“ „კოლხა,“ „აისი“ და მგალობელ-მომღერალთა გუნდი „შემოქმედი. სპეციალურად ამ დღისთვის დვაბზუში მუსიკალური ნომრები შეასრულეს ნოდიკო ტატიშვილმა, ანრი ჯოხაძემ, სალომე ბაკურაძემ, სოფო ბედიამ და ქსენია აბულაძემ.

დაჯილდოვდნენ დვაბზუს საპატიო მოქალაქეები. მათ სპეციალური ჯილდოები და სიგელები გადასცეს გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ყაზაიშვილმა.

„სახალხო დღესასწაულს „დვაბზუობას“ ვულოცავ სოფელ დვაბზუს მოსახლეობას. ეს არის დღე, რომელიც ძალიან ბევრ ადამიანს აერთიანებს. ვხვდებით ერთმანეთს და ვეუბნებით თბილ სიტყვებს. ასევე, აუცილებელია მუნიციპალიტეტში დაწესდეს თითოეული სოფლის დღე და ყოველწლიურად დაჯილდოვდნენ სოფლებში მცხოვრები დამსახურებული ადამიანები. დღეს ჩვენ დვაბზუში მცხოვრები ექვსი ღვაწლმოსილი ადამიანი დავაჯილდოვეთ, რომლებმაც სოფლისა და მუნიციპალიტეტისთვის არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთეს“- აღნიშნა მერაბ ჭანუყვაძემ.



# „თეფში“ ოზურგეთის თეატრის სცენაზე




პრემიერა 20 ოქტომბერს 17 საათზე, გურიანთის კულტურის სახლში ოზურგეთის თეატრში კვლავ გრძელდება ახალგაზრდებისთვის სათეატრო საქმიაობისთვის სივრცის გამოყოფის და მათი შემოქმედებითი რეალიზაციისთვის სპეციალური პროგრამა. ეს ინიციატივა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ვასილ ჩიგოგიძეს ეკუთვნის, რომელიც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მომდევნო ოთხი წლის გეგმაშიცაა გაწერილი. ამჯერად, დამდგმელი ჯგუფი მთლიანად ახალგაზრდა ხელოვანებისგან არის დაკომპლექტებული. სპექტაკლის რეჟისორი ირაკლი გურგენიძეა, 2016 წლის საუკეთესო დებიუტანტი რეჟისორი. შემთხვევითი არ არის მისი მიწვევაც ოზურგეთის თეატრში. ახალგაზრდა რეჟისორმა შემოქმედებითი ჯგუფიც ახალგაზრდებით დააკომპლექტა. მან სამუშაოდ ახალგაზრდა წარმატებული მხატვარი სერგეი შივცი მიიწვია. პიესის ავტორიც ახალგაზრდა დრამატურგი ზურა პაპიაშვილია, რომელსაც თეატრალური საზოგადოება სხვადასხვა კონკურსებიდან და პროექტეიბიდან იცნობს. მისი პიესები დადგმულია რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრის სცენებზე. ამჟერად, მისი პიესა, პირველად იდგმება რეგიონში და ეს ოზურგეთის თეატრი აღმოჩნდა. ირაკლი გურგენიძემ ზურაბ პაპიაშვილის ერთმოქმედებიან კომიკური ჟანრის პიესაზე „თეფში” შეაჩერა არჩევანი, რომელიც აბსურდის ელემენტებითაა გაჯერებული. სპექტაკლში ოზურგეთის თეატრის გამორჩეული და წამყვანი მსახიობები ბელა კიკვაძე, ვერიკო ხუხუნაიშვილი, ნინო ჯულელი, თემურ კვირკველია და გიორგი დოლიძე მონაწილეობენ. სპექტაკლისთვის ოზურგეთის თეატრისთვის აქამდე უჩვეულო სცენოგრაფია შეიქმნა, რომელიც გამორჩეულია როგორც ტექნიკური, ასევე ვიზუალური და კონცეპტუალური თვალსაზრისითაც. პიესა გარდაცვლილი გოგის ისტორიას მოგვითხრობს, რომლის ცოლები გარდაცვალების შემდეგაც საიქიოში არ ასვენებენ. მაყურებელს სახალისო და სევდიანი ისტორის ხილვა ელის წინ. ირაკლი გურგენიძის სპექტაკლი თბილისში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში 29 ოქტომბერს 19 საათზე იქნება წარმოდგენილი და თბილისელ მაყურებელს ახალგაზრდების მორიგი ექსპერიმენტის ხილვის საშუალება მიეცემა.

# სურსათის მსოფლიო დღე აღინიშნა

16 აგვისტოს, ოზურგეთში, სოციალური საწარმო -კაფე „რვას+1“ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის წარმომადგენლებმა, ოზურგეთის ახალგაზრდული კლუბის წევრებთან ერთად სურსათის მსოფლიო დღე აღნიშნეს. გაეროს ეგიდით, ამ დღეს მსოფლიოს 150 ქვეყანა აღნიშნავს, რათა ხაზი გაესვას, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საკმარისი საკვები, რათა ჯანსაღად და აქტიურად იცხოვროს.

პროექტს „გაძლიერება მომავლისათვის“ ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია — საზოგადოებრივი გაერთიანება —„ბემონი.“

როგორც „ბემონის“ ხელმძღვანელმა ინგა შარაშენიძემ გვითხრა, პროექტი საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში მიიღონ ინფორმაცია ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ და აითვისონ შესაბამისი უნარ-ჩვევები. ძირითადი აქცენტი კეთდება თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარების პრევენციაზე, აივ/შიდსის პრევენციაზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ჯანსაღ კვებაზე.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ:



თამარ სირბილაძე, საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი,“ გიორგი ხუჩინაშვილი, აშშ საერთაშორისო გაერტიანების სააგენტო; მარინა ჯაფარიძე, ქ. ოზურგეთის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსი; მაიზერ ცელაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

გაიმართა კულინარიული კონკურსი „ჯანსაღი კერძის ხელოვნება“, რომელშიც ორი გუნდი „Gooks art“ (მარიამ მამეიშვილი, რუსკა მახარაძე, ვახტანგ ბიბინიძე) და „ბონაპეტი“ (რეზო გოგატაძე, შორენა სიხარულიძე, ანა აბაშიძე) გაეჯიბრა ერთმანეთს.

ჟიურიმ (მარინა ჯაფარიძე, მაიზერ ცელაძე, ზაზა ჯინჭარაძე) გამარჯვებული პირველი გუნდი გამოავლინა. გამარჯვებულებს და მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

შემდეგ გაიმართა კონცერტი. სხვებთან ერთად თავისი ხელოვნება ახალგაზრდა პიანისტმა გიორგი ცხომელიძემ აჩვენა.


# ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.


# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +9+20 | მზე, +9+20 | მზე, +10+21 | წვიმა +5+18 | ღრუბელი +8+18 | მზე, ღრუბელი +10+16 | წვიმა +9+12 |
| 19 ოქტომბერი ხუთშაბათი | 20 ოქტომბერი-პარასკევი | 21 ოქტომბერი შაბათი | 22 ოქტომბერი კვირა | 23 ოქტომბერი ორშაბათი | 24 ოქტომბერი სამშაბათი | 25 ოქტომბერი ოთხშაბათი |